ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის, ელენე დუმბაძის 2017 წლის 07 სექტემბრის N10/9698 წერილის პასუხად, გიგზავნით ანგარიშს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის დავით ზურაბიშვილის მიერ სამაჟორიტარო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ. რომელიც მიმდინარე, 2017 წლის მაისის თვიდან ურიგდებათ ამომრჩევლებს (დარიგებულია 8 000 (რვაათასი) ცალი) და დღემდე გრძელდება.

დანართი: ერთი ფურცელი

პატივისცემით,

დავით ზურაბიშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს მაჟორიტარი წევრი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 2 ფურცელი

№ 10/9698 06.10.2017

ძვირფასო საბურთალოელებო.

სამი წლის წინათ, **2014** წლის აგვისტოში თქვენ ამირჩიეთ მაჟორიტარ დეპუტატად თბილისის საკრებულოში. წელს შემოდგომაზე იწურება ჩემი, როგორც მაჟორიტარის უფლებამოსილების ვადა და მინდა, ერთგვარი შემაჯამებელი ანგარიში ჩაგაბაროთ ჩემს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

ვერ ვიტყვი, რომ კმაყოფილი ვარ, თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ არაფერი გამიკეთებია. ჩემი უშუალო მონაწილეობით რაღაც პრობლემები მოგვარდა, რაღაც შეიძლება ვერ მოგვარდა, მაგრამ ცდა არ დამიკლია.

ჯერ ჯერობით, არ მაქვს გადაწყვეტილი, ვიქნები თუ არა კიდევ ერთხელ მაჟორიტარობის კანდიდატი ამ საარჩევნო ოლქში. უფრო დიდის ალბათობით არ ვიქნები და შევეცდები ახალ კანდიდატს მივეხმარო. თუმცა, როგორც არ უნდა იყოს, მე ყოველთვის მზად ვარ იმისთვის, რათა თითოეულ თქვენგანს შევხვდე, მოვუსმინო და შემლებისდაგვარად დავეხმარო.

პატივისცემით
დავით ზურაბიშვილი

ანგარიში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საბურთალოს მე-6 საარჩევნო ოლქის (კოსტავა–დოლიძე–ბახტრიონი–ხილიანი) მაჟორიტარი წევრის, დავით ზურაბიშვილის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ:

1.მაჟორიტარი დავით ზურაბიშვილი პირადად შეხვდა 1000-ზე მეტ მოქალაქესა და კორპუსების ამხანაგობების თავმჯდომარეებს მაჟორიტარის ოფისში. ოფისის ორგანიზებით, მაჟორიტარი პირადად ახორციელებდა და ახორციელებს შეხვედრებს მოქალაქეებთან მათი საცხოვრებელ ადგილზე, არსებული პრობლემების შესწავლის მიზნით.

2.მაჟორიტარის ოფისში, სადაც მოქალაქეები ყოველდღიურად იღებენ უფასო, კვალიფიციურ იურიდიულ კონსულტაციებს, მომზადდა და პასუხი გაეცა მაჟორიტარის სახელზე შემოსულ 250-ზე მეტ კორესპოდენციას.

3.მაჟორიტარის შუამდგომლობითა და უშუალო ჩარევით მოხდა კოსტავა-დოლიძე-ხილიანი-ბახტრიონის ოლქში სერიოზულად დაზიანებული წყალკანალიზაციის ათობით ობიექტის გამოცვლა-შეკეთება კომპანიის ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (GWP) მიერ - უსასყიდლოდ. მათ შორის, ვ.დოლიძის ქუჩის ზედა ნაწილში, ვ. დოლიძის ქუჩის მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე, ჟ.შარტავას ქ. N14-ში, ალექსიძის ქუჩის N1-ში, ხვიჩიას ქ.N4-ში, იოსებიძის ქუჩაზე, ბახტრიონის ქ. N20–ში და სხვა.

4 მაჟორიტარის უშუალო ჩარევით შეჩერდა საეჭვო და მოსახლეობის მიერ გაპროტესტებული მშენებლობები, ს.ჩიქოვანის (ხილიანის), ფანასკერტელის, პეკინისა და ალექსიძის ქუჩებზე.

5. მაჟორიტარის ინიციატივითა და შუამდგომლობით, 2014-2017 წლებში განახორციელა სამი უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტი დოლიძის ქუჩაზე.

ა) კერძოდ, დაიწყო ს.ჩიქოვანის ქუჩიდან ახალ გზაზე გადასასვლელი გზის გაფართოება და ფუნდამენტური შეკეთება.

ბ) ვ.დოლიძის ქ. 97-ის მიმდებარე ტერიტორიაზე შეკეთდა სახიფათოდ დაზიანებული გზის მონაკვეთი. გზის ნახევარი ჩანგრეული იყო მშენებარე კორპუსის გამო. საფრთხე ექმნებოდა იქ მაცხოვრებლებისა და ავტომფლობელების სიცოცხლეს.

გ) ასევე ვ.დოლიძის ქუჩის ბოლოში, სადაც ოცდაათ წელზე მეტია გზა არ გაკეთებულა და იმდენად იყო დაზიანებული, რომ არსებობდა გზის ჩამოშლის საშიშროება, შესაბამისად, საფრთხე ემუქრებოდა მაცხოვრებლებსაც და ავტომფლობელებსაც, აშენდა ხუთი საყრდენი კედელი, გამოიცვალა წყალსაკანალიზაციო სისტემები, გაფართოვდა საავტომობილო გზა. ამ პროეტით, ფაქტობრივად, მოხდა პრევენცია, რათა მდინარე ვერეს ტრაგედიის დროს კიდევ უფრო მეტად არ დაზარალებულიყო როგორც მოსახლეობა, ასევე მდინარის მიმდებარე საცხოვრებელი ტერიტორიები, რასაც შესაძლოა, ფატალური შედეგი მოჰყოლოდა.

6. მაჟორიტარის უშუალო ჩარევით დაჩქარდა წყალდიდობის შედეგად სერიოზულად დაზიანებული კოსტავას N68 კორპუსის ეზოს გაწმენდითი სამუშაოები.

7. მაჟორიტარის მიერ შუამდგომლობა გაეწია 200–ზე მეტ ადამიანს, რის საფუძველზეც დაფინანსდა ოპერაციები ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საბურთალოს რაიონის გამგეობის მიერ. მათ შორის დაფინანსდა ორი არასრულწლოვანის ოპერაცია საზღვარგარეთ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პიროვნებას გადაეცა ეტლი.

8. მაჟორიტარის რეკომენდაციის საფუძველზე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხრიდან დაფინანსდა უნარშეზღუდული სტუდენტის სწავლის გადასახადი სამხატვრო აკადემიაში. ასევე ფონდმა „ღია საზოგადოება -საქართველომ“ წარჩინებული სტუდენტის სასწავლო კურსი დააფინანსა საზღვარგარეთ.

9. მაჟორიტარის მხრიდან არაერთი რეკომენდაცია გაიცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიასთან. დავით ზურაბიშვილის შუამდგომლობის საფუძველზე, კომისიამ არაერთ მოქალაქეს მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული საკითხები დადებითად გადაუწყვიტა.

10. მაჟორიტარი აქტიურად იყო ჩართული უნარშეზღუდული და სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის ღონისძიებების მოწყობასა და მათი პრობლემების მოგვარებაში.

11. მაჟორიტარის შუამდგომლობის საფუძველზე მოწესრიგდა საბავშვო მოედანი ბალანჩივაძის ქუჩაზე.

მაჟორიტარის ბიუროს მისამართი: ს.ჩიქოვანის (ყოფილი ხილიანის ქ.) N4

საკონტაქტო ნომრები: 595 01 25 63; 598 88 12 25